მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით წინ, კომუნიზმისაკენ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 77 (13471) | სამშაბათი, 5 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

გუშინ მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში

უკვე მერვე დღეა, რაც ლენინის პარტიის უმაღლესი ორგანო განაგრძობს მუშაობას. გუშინ დამთავრდა საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

სურათზე: ყრილობის სხდომის დარბაზში.

ფოტო ვ. ხავოსტიანოვისა და ვ. ეგოროვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა;

მოწონებულ იქნას წინადადებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

სკკპ XXIII ყრილობის დადგენილება სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში დამტკიცდეს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დელეგატებო, ჩვენს ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო გამოვიდნენ ყველა ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკის კომუნისტური პარტიათა დელეგატები, მოკავშირე რესპუბლიკებისა, რომლებიც ქმნიან ჩვენს დიადმრავალეროვან საბჭოთა სამშობლოს, გამოვიდნენ გმირი ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ურალისა და ციმბირის, ვოლგისპირეთის, შორეული აღმოსავლეთისა და რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი სხვა მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ყრილობის ტრიბუნიდან თავიანთი სიტყვა თქვეს მოწინავე მუშებმა და კოლმეურნეებმა, ინჟინრებმა და მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

თორმეტმილიონნიანი ლენინური პარტიის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ღრმად და საქმიანად განიხილეს პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, განვლილი გზის შედეგები და მომავლის გეგმები.

სულ მოკლედ რომ დავახასიათოთ მთავარი ნიშნები, რითაც ეს გამოსვლები გამოირჩეოდა, შეგვიძლია ვთქვათ:

ეს არის ყრილობის სრული ერთიანობა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზის გარშემო, როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში. (ტაში);

ეს არის მხურვალე ბოლშევიკური ინტერნაციონალური სოლიდარობა სოციალიზმის ყველა ქვეყანასთან, მთელი მსოფლიოს კომუნისტებთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლთან (ტაში);

ბოლოს, ეს არის ნამდვილად პარტიული სულისკვეთება ამხანაგობისა და სერიოზული მომთხოვნელობისა საკუთარი თავისა და სხვებისადმი ჩვენი საერთო საქმის გამარჯვებისათვის, — ერთი სიტყვით, ეს არის კომუნიზმის მშენებელთა უზარმაზარი არმიის მოწინავე რაზმის კარგი საქმიანი შეგირთება. (ტაში).

ეს ძალიან კარგია, ამხანაგებო. ეს ჩვენი პარტიის მაღალი პოლიტიკური სიმწიფის მაჩვენებელია (ხანგრძლივი ტაში).

ყრილობის დელეგატებმა, რომლებიც აქ გამოვიდნენ, არა მარტო აქტიურად დაუჭირეს მხარი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას, არამედ განავითარეს იგი, შეავსეს და გაამდიდრეს ცენტრალური კომიტეტის ანგარიში დიდი ფაქტიური მასალით და მთელი რიგი ახალი დიდმნიშვნელოვანი საკითხების დასმით.

ამრიგად ყველა ამხანაგის გამოსვლა ყრილობაზე შერწყმულია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასთან, მათ ცხადყვეს ჩვენი პარტიის მთელი ფართო და მრავალფეროვანი საქმიანობა (ტაში).

ყოველივე ეს, ამხანაგებო, მათავისუფლებს უფრო ვრცელი საბოლოო სიტყვისაგან. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახებ

4 აპრილს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა.

დღეს სხდომის დასაწყისში სხდომის თავმჯდომარემ ამხ. შ. რ. რაშიდოვმა წაიკითხა წერილი, რომელიც ყრილობას გამოუგზავნეს მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა კოლექტივებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ავტომატური სადგურის „ლუნა-10"-ის შექმნაში, დამზადებასა და გაშვებაში. ისინი კომუნისტური პარტიის ყრილობას მოახსენებენ, რომ შესრულებულია პარტიისა და მთავრობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დავალება კოსმოსის ათვისებაში. მსოფლიოში პირველად საბჭოთა ავტომატური სადგური „ლუნა-10" წარმატებით გაყვანილია მთვარისახლო ორბიტაზე და გახდა მსოფლიოში პირველი მთვარის ხელოვნური თანამგზავრი. მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ თვალსაჩინო მიღწევას უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას და აღუთქვამენ ყრილობის დელეგატებს, რომ კვლავაც მთელ ცოდნასა და ძალღონეს მოახმარენ კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების კეთილშობილურ საქმეს ჩვენი სამშობლოს სასახელოდ, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

დელეგატები და სტუმრები აღფრთოვანებულ ოვაციას უმართავენ ავტომატური სადგურის „ლუნა-10"-ის შემქმნელებს, რომლებმაც ახალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს კოსმოსის ათვისებაში.

უდიდესი ენთუზიაზმით მიიღეს მოსალმება იმათ სახელზე, ვინც ახალი შესანიშნავი გმირობა ჩაიდინა საყვარელი სამშობლოს სახახელოდ. სკკპ XXIII ყრილობის დელეგატები, ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, ნათქვამია მისალმებაში, გულითადად ულოცავენ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, კოლექტივებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მსოფლიოში მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შემუშავებაში, შექმნასა და გაშვებაში.

დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და აღფრთოვანებით იხმენენ მთვარის ხელოვნური თანამგზავრიდან გადმოცემული პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის" მელოდიას.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო გამოვიდნენ ამხანაგები: პ. ი. ბალანშინი — სკკპ პერმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ბ. ეგიზეევი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, ბ. ბ. პოპკარევი — სკკპ კრასნოიარსკის საშტარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ა. სინოვევა — საბჭოთა მეურნეობა „ზვენიგოროდოკის" მუშა (მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია).

ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები ჯილე პეს — ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ალბერო კუნიალი — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რომლებსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ბ. შ. ეშტოკინი — სკკპ ყირიმოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ბ. ბელიუსანოვი — სსრ კავშირის კინემატოგრაფიტა კავშირის გაზეთის პირველი მდივანი, ბ. ბ. სკოპინოვი — სკკპ ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებს: ამხანაგებს ლებანიხს — სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს, უილიამ კაშტანს — კანადის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რომლებიც მიეხალმნენ ყრილობას.

საღამოს სხდომაზე კამათში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ნ. ნ. როდიონოვმა — სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა.

შემდეგ დარბაზში სპორტსმენი დროშებით შემოდის საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დელეგაცია. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგნენ და მქუხარე ტაშით შეხვდნენ სამშობლოს სახელოვან დამცველებს.

საბჭოთა არმიისა და ფლოტის ჯარისკაცებისა და მატროსებს, სერჟანტებისა და ოფიცრებს, გენერლებისა და ადმირალების, ყველა მეომრის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას მიეხალმა ტამანის მ. ო. კალინინის სახელობის მოტომსროლელთა დივიზიის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ი. ი. ტენიშევი. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა სახელით ამხ. ტენიშევმა აღუთქვა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხალხს, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები კვლავაც ერთგულად ემსახურებიან კომუნიზმის დიად საქმეს, მზად არიან ყოველ წუთს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ ყველა აგრესორს.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო.

ხმაბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშეც მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა. ყრილობამ მოიწონა წინადადებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

ყრილობამ აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო სკკპ XXIII ყრილობის რეზოლუციის მოსამზადებელი კომისია.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები ამხანაგები: ხესუს ფარია — ვენესუელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ხილბერტო ვიეირა — კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კნუდ ეხპერსენი — დანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, ეზეკიას პაპაიოანუ — კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი, რენიერ ლარსენი — ნორვეგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე. ერნესტ გიურნელი — ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, ერნოლდო მარტინეს ვერდუგო — მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჰაჯეიბა კეიტა — მალის რესპუბლიკის პარტია სუდანის კავშირის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

ყრილობას მისალმებანი გამოუგზავნეს კომუნისტებმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა და მემარცხენე სოციალისტურმა პარტიებმა. მიღებულია მაიტის სახალხო ერთობის პარტიის მისალმება. მიღებულია აგრეთვე ჩილის სოციალისტური პარტიის, გვინეიხა და მწვანე კონცხის კუნძულების, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ აფრიკელთა პარტიის, სომალის დემოკრატიული კავშირის, პორტუგალიის ეროვნული განთავისუფლების პატრიოტული ფრონტის რევოლუციური ხუნტის, აფრო-შირაზის პარტიის (ზანზიბარ-ტანგანიკა) მისალმებანი.

საბჭოთა კავშირის ახალი დიდი მიღწევა

მსოფლიოში პირველი მთვარის ხელოვნური თანამგზავრი

საკავშირო ცნობა

1966 წლის 3 აპრილს 21 საათსა და 44 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ლუნა-10" გაყვანილ იქნა სელენოცენტრულ (მთვარისახლო) ორბიტაზე და მსოფლიოში მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გახდა.

სადგურის სელენოცენტრულ ორბიტაზე გაყვანა უზრუნველყო ამა წლის 1 აპრილს სადგურის ფრენის ტრაექტორიის წარმატებით განხორციელებულმა კორექციამ და ზუსტმა მანევრმა მთვარესთან მიახლოების დროს, რაც დედამიწიდან მიცემული კომანდით განხორციელდა.

მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის პარამეტრებია:

— მთვარის ზედაპირიდან მინიმალური დაშორება (პერისელენი) — დაახლოებით 350 კილომეტრი;

— მთვარის ზედაპირიდან მაქსიმალური დაშორება ((აპოსელენი) — დაახლოებით 1.000 კილომეტრი;

— მთვარის გარშემო სადგურის მიმოქცევის პერიოდი — დაახლოებით 3 საათი.

მთვარის პირველ ხელოვნურ თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო ხელსაწყოები მთვარისახლო კოსმოსური სივრცის კვლევისათვის.

ტელემეტრიული სისტემები დედამიწაზე გადმოსცემენ მეცნიერულ გაზომვათა მონაცემებს.

მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ფრენაზე დაკვირვებას და მისი ორბიტის პარამეტრების გაზომვას აწარმოებს შორეული კოსმოსური რადიოკავშირის ცენტრი.

პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაყვანა მთვარის გარშემო ორბიტაზე საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრებისა და მუშების ახალი დიდი გამარჯვებაა. ჩვენმა ქვეყანამ, რომელმაც 1957 წელს შექმნა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ახლა მთვარის გარშემო ორბიტაზე გაიყვანა პირველი ხელოვნური თანამგზავრი, რაც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მთვარის კვლევაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას

მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსმათა კოლექტივები, რომლებიც მონაწილეობდნენ „ლუნა-10" ავტომატური სადგურის შექმნაში, მომზადებასა და გაშვებაში, მოხარულნი არიან მოახსენონ ჩვენი შშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას, რომ შესრულებულია პარტიისა და მთავრობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დავალება კოსმოსის ათვისებაში.

მსოფლიოში პირველად საბჭოთა ავტომატური სადგური „ლუნა-10" წარმატებით გაყვანილია მთვარისახლო ორბიტაზე და გახდა მსოფლიოში მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ჩვენ ვამაყობთ, რომ მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი ისევე, როგორც დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, შექმნა, და გაუშვა საბჭოთა კავშირმა — ჩვენმა დიადმა სოციალისტურმა სახელმწიფომ.

„ლუნა-10" ავტომატური სადგურის მთვარისახლო ორბიტაზე გაყვანით გადაიჭრა ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანა, რომელიც ახალ ფურცელს გადაშლის მთვარის ათვისებაში.

ჩვენ, მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შექმნის მონაწილენი, კოსმოსური სივრცის ათვისებაში ამ მიღწევას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას.

ჩვენი კოლექტივი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი უურადღებით ადევნებენ თვალს ყრილობის მუშაობას, რომელიც განიხილავს სოციალისტური სამშობლოს განვითარების ძირეულ საკითხებს, სახავს შემდგომი კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივებს.

სიტყვას ვაძლევთ ლენინური პარტიის XXIII ყრილობის დელეგატებს, რომ მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები კვლავაც მთელ ცოდნასა და ძალღონეს მოახმარენ კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების კეთილშობილურ საქმეს საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ „ლუნა-10" ავტომატური სადგურის შექმნასა და გაშვებაში.

მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ „ლუნა-10" ავტომატური სადგურის შექმნასა და გაშვებაში

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სოციალისტური სამშობლო წარმატებით განაგრძობს კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებას.

1966 წლის 3 აპრილს მსოფლიოში პირველად მთვარისახლო ორბიტაზე გაყვანილ იქნა ავტომატური სადგური „ლუნა-10", რომელიც აწარმოებს მეცნიერულ კვლევას უშუალოდ მთვარის ახლოს. მთვარის ხელოვნური თანამგზავრის შექმნა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი მიღწევაა, უმნიშვნელოვანესი წვლილია მსოფლიო მეცნიერებაში.

მთვარისახლო ორბიტაზე გაყვანილი ავტომატური სადგურის საშუალებით მთვარის გამოკვლევა კიდევ ერთი საფეხურია კოსმოსის ათვისებაში და კანონზომიერად დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრდასთან, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნასთან საბჭოთა ადამიანები ამაყობენ, რომ ეს სადგური შექმნა ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა და მუშათა ნიჭით და შრომით, რომლებმაც გადაწყვიტეს ურთულესი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები.

ახალი გამარჯვება კოსმოსის კვლევაში მოწმობს, რომ წარმატებით და გეგმაზომიერად სრულდება ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს ჩვენს მეცნიერებს, კონსტრუქტორებსა და მუშებს. სკკპ XXIII ყრილობის დელეგატები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ თქვენს მოხსენებას ამ შესანიშნავი გამარჯვების შესახებ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დელეგატები, ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი გულითადად ულოცავენ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, კოლექტივებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შემუშავებაში, შექმნასა და გაშვებაში.

დიდება კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლს!

გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

სკკპ XXIII ყრილობის პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

სიტყვა ეძღვნება სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **ფ. ა. ტაბეევს.** წარმოების ორგანიზაციის ეკონომიური მეთოდების გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის დანერგვის, შრომის მატერიალური სტიმულების, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოებრივ ურთიერთობის ახლანდელ პირობებში, აღნიშნავს ორატორი, იზრდება პირველადი პარტორგანიზაციების როლი. თანდათან ქრება ორგანიზაციულ-სამეურნეო პრაქტიკის ძველი კრიტერიუმები, მათ ცვლიან ახალი ამოცანები, დაგეგმვის ახალი მეთოდები, რომლებიც მეურნეობათა ხელმძღვანელებისგან მოითხოვენ დიდ ცოდნას, დამოუკიდებლობას. ასეთი ცვლილებანი სამეურნეო პრაქტიკაში ეკონომიური კანონებს უფრო ღრმად გამოყენებისათვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ პარტიულ მუშაობაში, კადრებთან მუშაობაში.

ამხ. ტაბეევმა თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო თათრეთის ნავთობის მრეწველობას. აქ აღიზარდნენ მენავთობეთა შესანიშნავი კადრები. გადაამდე შესრულდა მოპოვებისა და ბურღვის შეიდწლიანი გეგმები. 1,5 მილიარდი ტონა ნავთობიდან, რაც დასახულია მოვიპოვოთ ჩვენს ქვეყანაში ხუთწლედის მანძილზე, რესპუბლიკის წილად მოდის დაახლოებით 500 მილიონი ტონა. ჩვენ, თათრეთის კომუნისტებს, ამბობს ფ. ა. ტაბეევი, სავსებით გვესმის თუ რა პასუხისმგებლობა გვაწევს პარტიისა და ხალხის წინაშე ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტისათვის. **ეს** ინელი, მაგრამ სავსებით რეალური საქმეა.

მოპოვების ყველაზე თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი და ტექნოლოგია, რომლებიც გამოყენებულია ნავთობის საბადოთა დამუშავებისა და ექსპლოატაციის დროს, საშუალებას გვაძლევს წიაღიდან ამოვიღოთ მარაგის მაქსიმუმ ნახევარი. დანარჩენი ნავთობი მიწის წიაღში რჩება. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არის ბევრი საბადო, რომლებიც უკვე დამუშავებულად ითვლება, როცა ამოღებულია ნავთობის მხოლოდ 15-20 პროცენტი. აქაც დიდი რეზერვები გვაქვს.

ნავთობის საბადოთა ექსპლოატაციის სისტემაზე დღემდე არ არის წყაღის დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები, რომ ყოველი საბადოს მენავთობეებს მიეცეთ როგორც სახელმწიფო გეგმის **საავალდებულო** მაჩვენებელი.

საჭიროა ფენებიდან ნავთობის არჩევის უფრო ეფექტიანი მეთოდები. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ნავთობის მეცნიერება არ მუშაობდეს ამ **პრობლემაზე.** მაგრამ, როგორც ჩანს, კვლევის დაქმაყოფილების გამო საქმე ნელა მიდის წინ.

დასასრულ ამხ. ტაბეევი ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობაზე.

— როცა ამბობ ფიქრობ, — ამბობს ორატორი, — ძალაუნებურად გებადება აზრი: განა ჩვენ, ეროვნული რესპუბლიკების წარმომადგენლები, ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა გავამართლოთ ჩვენი დიდი ძმის— რუსი ხალხის უდიდესი უურადღება და დახმარება? ჩვენ თვალსაჩინოვით გავუფრთხილდებით და გავამრავლებთ ხალხთა მეგობრობას, ვაწარმოებთ შეუერიგებელ ბრძოლას ნაციონალისტური და სხვა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ხელს შევუწყობთ საერთო საქმეს — კომუნიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში!

— ჩვენ, ადგილობრივი მუშაკები, — თქვა უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ფ. ვატჩენკომ,** — თვალნათლივ ვხედავთ, როგორ სულ უფრო ძლიერი ხდება პარტიისა და ხალხის ერთიანობა. იგი ვლინდება ჩვენი მკრეული ყოველდღიური საქმიანობით, შეიდწლეულის წარმატებით დამთავრებით, ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტის ერთსულოვანი მოწონებით, კომუნისტური მშენებლობის ყოველდღიური პრაქტიკით.

ამხ. ვატჩენკო ამბობს, რომ ოლქის მშრომელებმა შეასრულეს წინასწარი ლობრ სოციალისტური ვალდებულებანი. დაეამთავრეთ პირველი კვარტალის საწარმო პროგრამა და გეგმის გადამეტებით ვაწარმოეთ ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. კრივოი როგის მაღაროელებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 600 ათასი ტონა რკინის მადანი. ახლა დნეპროპეტროვსკის ოლქი აწარმოებს მთელ საბჭოთა კავშირში წარმოებული თუჯის თითქმის მეხუთედს, ფოლადის მეშვიდედს, ნაგლინის მეექვსედ ნაწილს და რკინის მადნის 50 პროცენტზე მეტს. იგი თავის სამრეწველო პროდუქციას აწვდის საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას და მსოფლიოს 57 ქვეყანას. ამასთან, აღინიშნა ორატორმა, ზოგიერთი საწარმო ჯეროვნად ვერ იყენებს რეზერვებს და ვერ ასრულებს გეგმას, ნელა ეწევა საპროექტო სამძღვრეთა ათვისებას.

ორატორმა მხარი დაუჭირა წინადადებას ორი დასვენების დღით ხუთდღიან სამუშაო კვირაზე საწარმოთა თანდათან გადასვლის შესახებ და აღნიშნა, რომ დნეპროპეტროვსკის ოლქის იმ 33 საწარმოს თითქმის ორი წლის გამოცდილებამ, რომლებიც ამ სისტემით მუშაობდნენ ცხადყო, რომ ეს ხელსაყრელია სახელმწიფოსთვისაც და მშრომელებისთვისაც.

დნეპროპეტროვსკის ოლქს, ხაზს უსვამს ამბ. ვატჩენკო, შეუძლია და უნდა აწარმოოს ახლანდელზე ბევრად მეტი სასარგებლო-სამეურნეო პროდუქცია. ხორცეულდება ღონისძიებანი რწყვის განვითარებისათვის, კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისათვის. ფერმებში ამ პროცესს აფერხებენ იმის გამო, რომ არა აქვთ მანქანებისა და მოწყობილობის კომპლექსი. ორატორს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და „საკოფლტექნიკა“ ბოლოსდაბოლოს უნდა შეუდგნენ ამ პრობლემების გადაჭრას.

ახლა ჩვენ მეტ უურადღებას ვუთმობთ, თქვა ორატორმა, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას. მაგრამ იმას, რაც გაკეთდა, საკმარისად ვერ მივიჩნევთ. დიდი დახმარება უნდა გაგიწიოს პარტიულმა პრესამ. უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს გაზეთი „პრავდა“, ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“ და ზოგიერთი სხვა გამოცემა რამდენადმე უკეთ აშუქებენ პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკას. მაგრამ ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ საკმაოდ არ ობიექტდება სტატიები პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ, ცოტა ლიტერატურა გამოდის ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური მუშაობის ცალკეულ საკითხებზე.

ახლა მთავარ ყურადღებას ვუთმობთ კადრებთან მუშაობას, თქვა ამხ. ვატჩენკომ, დაკალებული საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის გადიდებას. ოლქის კომუნისტთა დაახლოებით 80 პროცენტი მუშაობს უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში.

როსტოვის ორასი ათასი კომუნისტის სახელით გამოდის სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ხ. სოლომენცევი.** იგი აღნიშნავს იმ დიდ მუშაობას, რაც ამ ბოლო წლებში დონის მშრომელებმა გასწიეს. შვიდი წლის მანძილზე 78 პროცენტით გადიდდა სამრეწველო წარმოების მოცულობა, 28 პროცენტით გადიდდა მარცვლის საშუალო წლიური წარმოება გასული წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ამხ. სოლომენცევმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა კადრებთან მუშაობის საკითხს. ამ ცოტა ხნის წინათ კადრებთან დამოკიდებულებაში ზოგჯერ თავს იჩენდა ხოლმე ადმინისტრირება და უპატივცემლობაც კი. მხოლოდ ერთი შეხვედრით, პირველი გაცნობით ხშირად ქმნიდნენ აზრს მუშაკის, მისი უნარის შესახებ, განსაზღვრავდნენ, სად გაეგზავნათ იგი. ასეთი დამოკიდებულება ხელმძღვანელი მუშაკებისადმი საქმიან ვითარებას ვერ ქმნიდა, წარმოშობდა შემგუებლობასა და მაამებლობას. პრესაში იბეჭდებოდა ნაწარმოებები, რომელთა ავტორები ცალკეული ფაქტების საფუძველზე ხელმძღვანელობის მხოლოდ უარყოფით მხარეებს გვიჩვენებდნენ. ამ ნაწერთა ავტორებს, როგორც ჩანს, დავიწყდათ, ზოგიერთს კი შესაძლოა არც სურს იცოდეს, რომ ჩვენი ხელმძღვანელი კადრები ხალხიდან გამოსულები, გუშინდელი მუშები და გლეხები არიან, მუშებისა და გლეხების შვილები არიან. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პატიოსანი, პარტიისა და ხალხის საქმის ერთგული ადამიანებია.

აი, მაგალითად, ავიღოთ სასოფლო რაიონის მდივანი, რომლის როლი, სხვათა შორის, ერთ დროს ჯეროვნად არ იყო შეფასებული, ან კომეურნეობის თავმჯდომარე თუ საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს დირექტორი. როგორ მუშაობენ ისინი? „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დღედაღამ მუშაობენ. ფისუბითად მათ თავისუფალი დრო არა აქვთ. ისინი მთელ ძალღონეს იხმარენ დადგენილ საქმეს. და ასე მუშაობს ჩვენი კადრების უმრავლესობა. ამიტომ არის, რომ ხალხი ენდობა მათ, „უყვარს ისინი.

ჩვენ მწვავე, ლენინური პრინციპული კრიტიკის მომხრენი ვართ, — ხაზი გაუსვა ორატორმა, — მაგრამ მოვითხოვთ ლენინურად პატივისცემით მოეპყრან ჩვენს კადრებს.

ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ, თქვა ამხ. სოლომენცევმა, მუშაობაში საქმიანი ვითარება შეიქმნა. ცენტრალური კომიტეტი, მისი პრეზიდიუმი სრულ ნდობას და პატივისცემას იჩენენ სხვადასხვა რგოლის მუშაკებისადმი და საქმიანად, მშვიდად უყენებენ მათ დიდ მოთხოვნებს. ასეთი ვითარება ფრთებს გვასხამს.

ამხ. სოლომენცევმა გააკრიტიკა კინოგაქირავების მუშაკები. უცხოურ ფილმებს, თქვა მან, სულ უფრო ხშირად უშვებენ ჩვენი კინოთეატრების ეკრანებზე, ბევრ მათგანს ჩვენთვის უცხო იდეები მოაქვს, დიდ ზიანს აყენებს ახალგაზრდობის აღზრდას. ჩვენ, რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებთან კინოპროდუქციის გაცვლის წინააღმდეგი როდი ვართ. მაგრამ ამ დიდნშენელოვან საქმეში უკონტროლობის წინააღმდეგი ვართ.

სკკპ XXIII ყრილობას მხურვალედ მიესალმა ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **რიჩარდ დიქსონი,** რომელსაც დარბაზი ტაშით შეხვდა. თქვენთან ერთად, თქვა ორატორმა, გვახარებს დიდი წარმატებანი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, ცხოვრების დონის ამაღლებაში, გვახარებს ახალი ხუთწლიანი გეგმის შთამაგონებელი პერსპექტივები.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ზრდა, ისევე როგორც მისი საგარეო პოლიტიკა, დიდი ფაქტორია, რომელიც აოკებს იმპერიალისტთა აგრესიულ მისწრაფებებს.

ავსტრალიის მშრომელები მიესალმნენ საბჭოთა კავშირის ინიციატივას ინდოთ-პაკისტანის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველყოფაში. ამ ინიციატივამ დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მიზნები და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის სისწორე. რა მკვეთრი კონტრასტია ერთი მხრივ, ტაშკენტის დეკლარაციასა და მეორე მხრივ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის სისხლისმღვრელ ტებმა სოციალიზმის ბანაკში შექმნილი უთანხმოებანი ისარგებლეს ვიეტნამის ომის ესკალაციისათვის. ჩვენი პარტია მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინიციატივას სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობის განმტკიცებისა და ვიეტნამელი ხალხისათვის პოლიტიკური და მატერიალური დახმარების გაწევის საქმეში. ძირს უთხრიდე ამ სოლიდარობას თანამედროვე პირობებში — ეს იმას ნიშნავს, რომ ეწინააღმდეგებოდე ყველა ხალხს, სოციალისტური ქვეყნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მშვიდობისათვის ყველა მებრძოლის ძირეულ საკეთილდღეოსა და ინტერესებს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა პარტიის დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპს და სხვა პარტიათა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგი ვართ, აღნიშნა შემდეგ ამბ. დიქსონმა. ჩვენი პარტიის სამინაო საქმეებში ჩაერევნენ და მის გათიშვას ცდილობდნენ ისინი, ვინც არაერთგზის ამ დიდმნიშვნელოვან პრინციპებს და რევიზიონისტებად მიაჩნია ამ პრინციპების დამცველნი. მაგრამ ჩვენ თავიდან ავიცილეთ ეს საფრთხე. გამთიშველთა უბადრუკი ჯგუფი ავსტრალიის მოწინავე მუშებისა და ინტელიგენციისგან სრულიერებული აღმოჩნდა და ორაგთაონი პოლიტიკური წონა არა აქვს. ავსტრალიის კომუნისტური პარტია მტკიცედ შეკავშირებული და ერთიანია; იგი გაიზარდა **რიცხობრივად** და განმტკიცდა **პოლიტიკურად,** უფრო მჭიდროა **მისი კავშირი** ხალხთან, ვიდრე მისი რიგების გათიშვის ცდებამდე იყო.

ჩვენი პარტია მხარს უჭერს **საბჭოთა** კავშირის **კომუნისტური** პარტიის **კონსტრუქციულ** წინადადებებს **მსოფლიო** კომუნისტურ მოძრაობის ერთიანობის აღდგენის შესახებ. ჩვენ, თქვა ამბ. დიქსონმა, სოლიდარობას **ვუცხადებთ** საბჭოთა კავშირის **კომუნისტურ** პარტიას. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი

მოსკოვი. სკკპ XXIII ყრილობა. **სუფრასთან:** (მარცხნიდან მარჯვნივ) საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოთაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი დ. შარაშიძე, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ბეტრიშანი, მონოლოთის სახალხო-რეკლამაციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ცედენბალი, საქართველოს კომპარტიის ცხაკაიის რაიკომის პირველი მდივანი ნ. შონია და საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. შადური ყრილობის სხდომათა შორის შესვენების დროს.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ბ. დადვაძისა. (საქმესის ფოტოქრონიკა).

4 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

. სასიხარულო, ამაღელვებელი ცნობით დაიწყო ყრილობის 4 აპრილის სხდომა. მსოფლიოში პირველად სამეცნიერო ავტომატური სადგური „ლუნა-10“ წარმატებით გაეგზავნილია მთვარისაენლო ორბიტაზე და მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გახდა, ეს ყრილობას წერილით მოახსენეს მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ავტომატური სადგურის შექმნასა და გაშვებაში. თავიანთი მიღწევა მათ მიუძღვნეს სკკპ XXIII ყრილობას.

როცა თავჯდომარე **შ. რ. რაშიდოვი** კოსმოსის დამპყრობთა წერილს კითხულობდა, დელეგატთა ოვაციები ისმოდა ტაში, მოწონების შეძახილები. უშუალოდ გამოთქვამდნენ თავიანთ გრძნობებს მეშახტიები და მეტალურგები, მბენელ-მთესველები და მეცხოველეები, მეცხოვრებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწენი. აღფრთოვანებული არიან ყრილობის დელეგატები — კოსმონავტი-მფრინავები. მათ განსაკუთრებით კარგად იცნეს, თუ რა უდიდესი შრომაა ჩაქსოვილი ჩვენი კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გამარჯვებაში.

ჯიხურებში მყოფი თარჯიმნები, რომლებიც თხუთმეტ ენაზე თარგმნიან, დარბაზში მყოფი მთარგმნელები სიტყვასიტყვით უთარგმნიან სტენოგრამებს წერილის ტექსტს...

მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შემქმნელებმა პირობა მისცეს ლენინური პარტიის XXIII ყრილობას, რომ კვლავაც მთელ ცოდნას და ძალონეს მოახმარენ კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების საქმეს. ამ სიტყვებს დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

წაიკითხეს სკკპ XXIII ყრილობის საპასუხო წერილი, დარბაზში კვლავ და კვლავ გაისმოდა ტაში. ყრილობის დელეგატებმა გულთბილად მიიღეს ცეკვა-ოვაციებსა და კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, კოლექტივებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პირველი მთვარის ხელოვნური თანამგზავრის შემუშავებაში, შექმნასა და გაშვებაში.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს:

— გთხოვთ მოისმინოთ პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მელოდია, რომელიც მთვარის ხელოვნურმა თანამგზავრმა გადმოსცა!

უზარმაზარ დარბაზში ისმის საზეიმო მუსიკა. ყველანი ფეხზე მდგომი ისმენენ, შემდეგ კი **რამდენსამე** წუთს ქუხს ოვაცია...

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. კამათის სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო ლიდის სხდომაზე გახსნა პარტიის პერმის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ. ი. გალანშინმა.**

— ნება მიბოძეთ, — თქვა მან, — აღტაცება გამოვთქვა ჩვენი მეცნიერების, ინჟინრების, მუშების **ახალი** დიდებული მიღწევის გამო, რომლებმაც გადადგეს ახალი გიგანტური ნაბიჯი კოსმოსის ათვისების **გზაზე** — გაუშვეს მთვარის **პირველი ხელოვნური** თანამგზავრი.

თავის სიტყვაში ორატორი ახასიათებს ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და **მომდევნო** პლენუმების **მნიშვნელობას პარტიის,** მთელი **ხალხის** ცხოვრებაში, **იხსენებს** მეწველობის **მართვის** გარდაქმნის **საკითხებს.**

საწარმოთა ხელმძღვანელობის სრულყოფასთან ერთად, **აცხადებს** ამბ. გალანშინი, დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მუშაობის ძირეული გაუმჯობესება სამეურნეო კადრების შერჩევასა და სწავლებაში, რომლებიც **წარმატებით** შეძლებენ გაუძღვნენ მინდობილ **საქმეს** ახალ პირობებში, **არ დასჭირდებათ** ზემდგომი ორგანიზებენ ინსტრუქციები და ჯარნახი. კადრებთან მუშაობა ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი პარტიელთა საქმე, მაგრამ ახლა ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. მიხსნაწოწილად მიგვაჩნია შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის **ასამაღლებელი** წყობრი სისტემა, რომ ისინი დაეუფლონ წარმოების მართვის მეცნიერებას.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის დირექტივების **შესრულების** ორგანიზაციის გაუმჯობესებას. უნდა ვადაროთ, რომ შესრულების შემოწმება ჩვენი მუშაობის ჯერ კიდევ სუსტი რგოლია.

ამის შესახებ ლაპარაკი **გვიხდება** იმის გამო, რომ ცენტრალური, უმთავრესად მგეგმავი, ორგანიზებიც კი მთელ რიგ შემთხვევებში ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. მარტო პერმის ოლქიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ ათობით მაგალითი, როცა იღებდნენ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, მაგრამ მათი განხორციელება არც კი დაწყებულა, თუმცა ვადები უკვე დიდი ხანია ამოწურა. ასეთი მდგომარეობა მარტო საქმეს როდი ვნებს, იგი ეწევიან პოლიტიკურ ზიანს, არასწორად ზრდის კადრებს.

ცუდი არ იქნება, **ამბობს** ორატორი, ახალი ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შემდეგ დავუბრუნდეთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე წინათ მიღებული გადაწყვეტილებებს და გავაანქმოთ ზოგი ძათგანი, რომელთა შესრულება მიჩხეული იქნება მიზანშეწონილად. როგორც ჩანს, არ უნდა მივიღოთ ახალი დადგენილებანი, თუ ეს უაღრესად საჭიროა არ იქნება, ხოლო თუ ისინი უკვე მიღებულია, უნდა შესრულდეს უყოყმანოდ და მათი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ კონკრეტულ ადამიანებს.

ამხ. გალანშინი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიტანეს პერმის ოლქის მშრომელებმა ჩვენი სამშობლოს ეკონომიური პოტენციალის გადიდებაში. შვიდწლედში ძირითადი საწარმოო ფონდები გადიდდა 1,8-ჯერ, შრომის ნაყოფიერება გადიდდა 57 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით შვიდწლედი ვადამდე შესრულდა. მეწყობრში ჩადგა ვიტკინსის ჰიდროელექტროსადგური ქაბაზე, იაკეის თბოსადგური, ელექტროტექნიკური ქარხანა „ელმაკაბელი“, მაღალი ძაბვის იზოლატორების ქარხანა, სოლიკამსკის გაზეთის ქაღალდის ფაბრიკა. ახლა არსებითად ოლქის მთელ ტერიტორიაზე წარმოებს ნავთობის ამოღება. განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. **კოლმეურნეობათა ფულადი** შემოსავალი თითქმის ერთიორად გადიდდა.

ორატორი ამბობს, რომ ყრილობაზე გამოთქმული წინადადებანი პარტიის წესდების ცალკეული პარაგრაფების შეცვლის შესახებ თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა ამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ფედერაციის ბიუროს გაექმებისას გაძლიერდება ცენტრალური კომიტეტის **ინ** განყოფილებები და ჩვენი კავშირი მათთან განმტკიცდება.

— საბჭოთა არმიისა და ფლოტის კ[illegible] მეუნიფორმეები, ყველა საბჭოთა მეომარ[illegible] რომლებიც აფასებენ პარტიის დიდ სა[illegible] მეებს, რეალურად გრძნობენ მისი შორ[illegible] მჭვრეტელი პოლიტიკის შედეგებს, მა[illegible] შორის ჩვენი ქვეყნის თავდაცვაშიც. — [illegible] თქვა ყრილობის ტრიბუნიდან საბჭო[illegible] არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტ[illegible] მთავარი პოლიტიკური სამმართველ[illegible] უფროსმა **ა. ა. ეპიშევმა,** — მთლიანად [illegible] იწონებენ პარტიის ცენტრალური კომ[illegible] ტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქ[illegible] კულ საქმიანობას.

უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალ[illegible] რმა კომიტეტმა მიიღო პრინციპული და[illegible] დაწყვეტილებანი, რომლებიც ეხები[illegible] სამხედრო მშენებლობის კონკრეტ[illegible] უბნებს, კადრების მომზადებასა და ა[illegible] ზრდას, ჯარებში პარტიულ-პოლიტიკურ[illegible] მუშაობის გაძლიერებას. სამხედრო სა[illegible] ზონები, მეთაურები, პოლიტორგანოებ[illegible] და პარტიული ორგანიზაციები თავიან[illegible] მუშაობას აგებენ ამ ახალი, უფრო დიდ[illegible] მოთხოვნების სულისკვეთებით. ისწრაფ[illegible] ვიან ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ [illegible] ჯარების საბრძოლო ოსტატობისა და [illegible] ბრძოლო მზადყოფნის გადიდებისათვ[illegible]

ჩვენი მეომრებისათვის, განაგრ[illegible] ორატორმა, მახლობელია იმ ხალხთა [illegible] დები და მისწრაფებანი, რომლებიც ებ[illegible] ძვიან თავისუფლებისა და ეროვნული დ[illegible] მოტკიდებლობისათვის. საერთაშორის[illegible] რეაქციის ძალების | წინააღმდეგ. ისინ[illegible] გულისწყრომით გმობენ ვიეტნამში ა[illegible] რაელ იმპერიალისტთა აგრესიას, ძმურ[illegible] სოლიდარობას უცხადებენ გმირ ვიეტნ[illegible] მელ ხალხს.

(გაგრძელება მე-8 გვ.)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „კომუნისტი“ № 76.

• სოციალისტური შრომის გმირები •

მ. ᲐᲫᲚᲔᲘᲒᲐ
აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სუფოროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ს. ᲑᲐᲪᲘᲙᲐᲫᲔ
ქარელის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის მერგოლური.

მ. ᲑᲘᲒᲕᲐᲕᲐ
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

Თ. ᲒᲝᲒᲨᲔᲚᲘᲫᲔ
გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ლ. ᲓᲝᲑᲠᲝᲜᲔᲪᲙᲘ
ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

Ე. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ
აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის წევრი.

ქ. ᲙᲔᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ხობის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

კ. ᲚᲘᲣᲑᲐᲕᲩᲙᲘ
„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს გვირაბგამყვანთა № 5 რაზმის ბრიგადირი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი. სკკპ XXIII ყრილობა. სურათზე: ყრილობის დელეგატები ათვალიერებენ ვ. ი. ლენინის მუზეუმ-ბინას კრემლში.
ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

(გაგრძელება)

დარბაზი ტაშით შეხვდა ამხ. ეპიშევის სიტყვებს, რომ ათასობით ჩვენი ადამიანი, მთელი ნაწილების პირადი შემადგენლობა ეცხადებენ, რომ მზად არიან მოხალისეებად წავიდნენ, რათა იბრძოლონ ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისათვის.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა კეთდება არმიასა და ფლოტში პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. საბრძოლო მომზადება მჭიდროდაა დაკავშირებული მეომართა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდასთან. მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის ასობით უნივერსიტეტი, პარტიული სკოლა და წრე, ოფიცართა სახლი, ჯარისკაცთა და მატროსთა კლუბი. იზრდება ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი, სამხედრო გაზეთების და ჟურნალების ტირაჟი, მეტი გვაქვს კინოდანადგარი, ტელევიზორი, რადიომიმღები. არმიაში სამსახურის დროს მეომრები მრავალმხრივ ცოდნასა და კარგ ფიზიკურ წრთობას იძენენ. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი არმია და ფლოტი აგრეთვე ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლების სკოლაა.

ორი იდეოლოგიის ბრძოლა, განაგრძო ამხ. ეპიშევმა, — თეორიული დავა კი არა, ნამდვილი ბრძოლაა. ამიტომ თითოეული კომუნისტი უნდა იყოს აქტიური მეომარი იმპერიალიზმის იდეოლოგიური შეტევების წინააღმდეგ. იდეურ ბრძოლაში, ისევე როგორც ყოველ ბრძოლაში, ყველა სახეობის იარაღი მუდამ მზად უნდა გვქონდეს. რევოლუციური თეორიის ათვისებისადმი ყურადღების ოდნავმა შესუსტებამ შეიძლება არასასიამოვნო შედეგი მოიტანოს. როგორც ჩანს, ამიტომაა, რომ ზოგჯერ იბეჭდება ისეთი „ნაწარმოებები“, რომლებსაც ანტიტალიტურობის, უიდეობის კვალი ანჩია. შეიძლება ეს ერთეული ფაქტები იყოს, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ.

პარტია არასდროს არ მალავდა, რომ სოციალიზმის გამარჯვების ბილა ვარდებით ფრილი იყო მოფენილი. გზაზე გვხვდებოდა ოღროჩოღროც, ძნელი გადასასვლელებიც. პარტიამ ყოველივე ეს დროულად შეიფასა. ჩვენ არასდროს არ ვყოფილართ ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკის წინააღმდეგი, მაგრამ მიგვაჩნდა და ვიგულისხმეთ, რომ კრიტიკა უნდა იყოს პარტიული და ობიექტური, საერთო საქმისადმი სასარგებლო და არა საზიანო. ნაწარმოებებმა, რომლებიც ამაბინძურებენ ჩვენს სინამდვილეს, არ შეიძლება არ გამოიწვიოს საბჭოთა ადამიანების სამართლიანი გულისწყრომა, როგორც მათი აეტორების წინააღმდეგ, ასევე იმათ წინააღმდეგ, ვინც ნებასით, თუ უნებლიეთ ქმნის მათი გამოქვეყნების პირობებს. ამ გულისწყრომას ხმას უერთებს არმიის საზოგადოებრიობაც.

მშრომელების, განსაკუთრებით მოზარდი თაობის, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების, საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის სწორად გაგების ჩამოყალიბებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სახელდო-პატრიოტულ აღზრდას, რომელიც პარტიას მიაჩნია ჩვენი ხალხის იდეურ-პოლიტიკური წრთობის განუყოფელ ნაწილად. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ახორციელებენ კომკავშირი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“, და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ ნაყოფიერი საქმიანობა ახალგაზრდობის აღზრდასა და არმიისათვის კადრების მომზადებაში. ვიმეორებენთ, რომ ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

— ახლა პარტიამი, ჩვენს ქვეყანაში, — განაცხადა სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ა. კოკურევმა, — შექმნილია ისეთი ატმოსფერო, მკვიდრდება ხელმძღვანელობის ისეთი სტილი, რომლებიც ფართო ასპარეზს უმზინან სახალხო ინიციატივისა და შემოქმედებითი აზრის განვითარებას. მტკიცდება პარტიული რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთობა, ამტრდება პირველადი ორგანიზაციების როლი, უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს პარტიული ხელმძღვანელობა.

ჩვენი ძხარის პარტიულ ორგანიზაციაში ოთხი ათასამდე პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. ეს არის დიდი ძალა, რომელიც ფართო გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგზე, ადამიანების აღზრდაზე. მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ყოველდღიური მუშაობა კადრებთან, მათი იდეური წრთობა. პარტიის შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცებისა და ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც უნდა შეიტანონ სკკპ წესდებაში.

ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ მომქმე პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლები ყრილობაზე, თქვა შემდეგ ორატორმა. ჩვენთვის უსაზღვროდ ძვირფასია მებრძოლი ამხანაგებისა და თანამოაზრეთა ნდობა, რომელიც დამაკრედიტებად მოწმობს, რომ ჩვენი პარტია ადგას სწორ ლენინურ გზას.

ყრილობის ძხარის მშრომელები ძალიან ბევრნი აღნიშნავენ პარტიისა და მთავრობის მუდმივ ყურადღებას ციმბირის საწარმოო ძალთა განვითარებისადმი. ამ ზრუნვის ერთ-ერთი პრაქტიკული შედეგია სერიოზული წარმატებები, რომლებსაც ჩვენს მხარეში მიეღწიეთ შვიდწლედის წლებში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თვალს ვარიდებდეთ არსებულ ნაკლოვანებებს.

ციმბირის პირობებში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მეურნეობის კომპლექსური დაგეგმვისა და განვითარების პრაქტიკული განხორციელება. ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი დიდ ეკონომიურ ზარალს გვაყენებს. ორატორმა კერძოდ აღნიშნა, რომ საჭიროა ახალი რაიონების სატრანსპორტო მშენებლობისა და სამეურნეო ათვისების საკითხთა ერთად გადაწყვეტა. ტრანსპორტის რაციონალური გამოყენებისათვის უნდა გადაწყდეს ბოლოს და ბოლოს აგრეთვე ცარიელი ტრანსპორტის დატვირთვის საკითხი.

თანამედროვე პირობებში ეკონომიური ცოდნა ისეთივე აუცილებელი ხდება, როგორც ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება. მაგრამ ადგილებზე იგრძნობა კვალიფიციურ ეკონომისტთა მწვავე ნაკლებობა. უნდა დაჩქარდეს ამ დარგის კადრების მომზადება, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა.

— ლენინური სიყვარულით ადამიანებისადმი გამსჭვალულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, — განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზვენიგოროდსკის“ მწველავმა **ლ. ა. სისოევამ** — სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე ახლა ფართო და ნათელი პერსპექტივებია დასახული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახლებურად განსაზღვრეს შრომის ორგანიზაციისა და დაგეგმვის შესაძლებლობანი. ადამიანები სწავლობენ ხალხის თითოეული კაპიკის ყადრს, ეკონომია საერთო საზრუნავი ხდება. ახლა არ შეიძლება მხოლოდ უზრუნველი შემსრულებელი იყო. იმისათვის კი, რომ მიხვდე, ეძიო და წინასწარ განსჭვრიტო, უნდა იცოდე. ეი რატომ ესწრაფვის ხალხი სწავლას. ახლა თითოეულ მეურნეობაში არის ეკონომიკის შემსწავლელი სკოლები. სასურველია, რომ მათ მუშაობას საფუძვლად დაედოს უფრო გააზრებული სისტემა.

დელეგატმა ყრილობას აცნობა, რომ შარშან სამოციდან თითოეულ ძროხაზე მოწველა 3.743 კილოგრამამ რძე. მაგრამ მწველავის შრომა ჯერ კიდევ ძნელია, განსაკუთრებით საკვების ჩამორიგების დროს. ცვლის განმავლობაში დაახლოებით ტონანახევარი საკვებია გადასაზიდი. და ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მანქანები და მექანიზმები არა გვაქვს, არამედ ძნიტომ, რომ მათ კომპლექსურად არ ვიყენებთ. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენი მწველავები ასეთი მექანიზაციის შესახებ: სანამ ღილაკს დაიჭერ, ოფლად გაიღვრებიო. ასეთი მექანიზაციის დროს რომელიმე ერთი ელემენტის დანერგვა ძალიანად ვერ გადაჭრის პრობლემას, საჭიროა მანქანების კომპლექსი.

მინდა კიდევ შევეხო შრომის ორგანიზაციას მეცხოველეობაში. ადრე დგები, შინ გვიან ბრუნდები, ფიქტიურად მთელი დღე ფერმაში ხარ. სამუშაო დროის სწორედ ეს გაჭიანურება ამნიებს ხშირად ახალგაზრდობას. ჩვენს ოლქში უკვე არის ფერმები, სადაც ორ ცვლად მუშაობენ. შრომის ასეთი ორგანიზაციის დროს ახალგაზრდობა ხალისით წავა მეცხოველეობაში სამუშაოდ. მაშასადამე ორ ცვლად მუშაობის გამოცდილება პერსპექტიული საქმეა და ფართოდ უნდა დანერგოს. უნდა გადიდდეს მწველავთა შვებულების დრო. ორი კვირა ცოტაა.

ყურადღება და ზრუნვა პატიოსანი საბჭოთა მშრომელებისადმი ჩვენი ცხოვრების კანონია, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. მხარს ვუჭერ იმ ამხანაგებს, რომლებიც მოითხოვენ მკაცრ კანონს, რომლითაც „დაისჯებიან ისინი, ვინც ეარს ამბობენ შრომაზე, აროვანენ შრომის დისციპლინას. ჩვენს რიგებში უქნარები არ უნდა იყვნენ.

მუშის სიამაყის გრძნობა — დიდი გრძნობაა, თქვა შემდეგ მწველავმა. ორი წლის წინათ ჩვენს ახალგაზრდულ დელეგაციასთან ერთად ამერიკაში ვიყავი. იქ ასეთი ამბავი მოხდა: რომ ეჩვენებინათ როგორი თავისუფლება აქვთ ამერიკაში, ამერიკელ სენატორებს შეგვახვედრეს. ბევრი იყო ნათქვამი დემოკრატიის შესახებ, გვიქადნენ ამერიკელ წყობილებას, მაგრამ სწორედ აქ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, მეკითხებიან, ვინა ხარო. რუსეთის სფერ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პროფესიონალ კი მწველავი-მეთქი. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ შეეცვალათ სახე. გასაგებია. მათ კონგრესში მწველავები არა ჰყავთ, „დემოკრატიამ“ არ აძლევთ ნებას.

მაშინ ბატონებმა ჩემი შემოწმება გადაწყვიტეს. ქალაქ სირაკუზში ერთერთმა მოხოვა ხელები მეჩვენებინა. ინებეთ მეთქი, ეუთხარი, შეხედეთ, ჩვეულებრივი მუშა ხელებია. მაგრამ ეს არ იკმარეს. როცა ამერიკელ ფერმერ ლეშერს ვესტუმრეთ, ისევ მთხოვეს: ახლა კი გვიჩვენეთ რუსეთში ძროხას როგორ წველავენო. მოვწველე ძროხები, ბატონი ლეშერი კი იძულებული იყო ეთქვა, რომ საბჭოთა კავშირში პარლამენტის წევრებმაც კი იციან ძროხის მოწველა. რატომ გიამბეთ ეს ეპიზოდი, ამხანაგებო? ის, რაც ამერიკაში მოხდა, შემთხვევითი როდია. კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ პროპაგანდას სურს საქმე ისე წარმოახოს, თითქოს ჩვენს კვეყანაში უბრალო ადამიანს მხოლოდ „ავი სამუშაოს უფლება ჰქონდეს, ხოლო მართავენ კომუნისტები. მაგ სურთ ჩვენი ხალხი გაჭყონ მმართველ კლასად — პარტიად და უბრალო შემსრულებლად — მასად. იმ საბჭოთა მურნეობაში კი, სადაც მე ვმუშაობ, ყოველი მეხუთე მუშა კომუნისტია. სწორედ ჩვენა ვართ ის მმართველი კლასი!

ტაშით შეხვდა დარბაზი ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს **ვილე პესს**, როცა ტრიბუნაზე ავიდა. ჩვენი პარტიების თანამშრომლობა, თქვა მან, მათი ძმური ურთიერთობა ეყრდნობა ცარიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ, ჩვენი ხალხების თავისუფლებისათვის ფინეთისა და რუსეთის მუშათა მოძრაობის ერთობლივი ბრძოლის სახელოვან ტრადიციებს. ეს ბრძოლისა და მეგობრობის სათავეებში იდგნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი ვ. ი. ლენინი და ფინელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები.

ფინეთის კომუნისტები, ისევე როგორც ფინელი ხალხის ფართო ფენები, დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს სკკპ XXIII ყრილობის მუშაობას, მოელიან მის გადაწყვეტილებებს. ფინეთში კარგად ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებებს არა მარტო კომუნისტური მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში, არამედ აგრეთვე მთლიანად საერთაშორისო განვითარებისათვის. მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, თქვა ორატორმა, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პოლიტიკა დადასტურდა და კიდევ უფრო ვითარდება სკკპ XXIII ყრილობის მუშაობის დროს. ყოველი თქვენი გამარჯვება, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. პესმ, — სოციალიზმისათვის მებრძოლი მთელი ძალების გამარჯვებაა.

ფინეთის პარლამენტის არჩევნებმა, რომელიც ახლახან დამთავრდა, ცხადყო, რომ ფინელი ხალხი სულ უფრო მეტად უკმაყოფილოა ბურჟუაზიული ეკონომიური და მთელი საშინაო პოლიტიკით. ამ არჩევნებში მემარცხენე ძალებმა უმრავლესობა მოიპოვეს პარლამენტში. შეიქმნა წანამძღვრები, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდეს მშრომელთა ინტერესების შესაბამისად. მაგრამ, აღნიშნა ამხ. პესმ, ამ ცვლილებათა განხორციელება გადამწყვეტად არის დამოკიდებული იმაზე, დამყარდება თუ არა მოქმედების სათანადო ერთობა მუშათა პარტიებს შორის.

არჩევნების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტური პარტიისა და მთელი სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის როლი. ამას მოწმობს, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ახლა უფრო სერიოზულად, ვიდრე ოდესმე 1948 წლის შემდეგ, დაისვა საკითხი, რომ კომუნისტები მონაწილეობდნენ მთავრობაში, რომელიც ახლა იქმნება.

ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ, რომელიც ორი თვის წინათ გაიმართა, თქვა შემდეგ ამხ. პესმ, მიიღო უახლოესი პერიოდის ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნათა გაშლილი პროგრამა, რომელიც ხელ წამოვაყენეთ ბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის საპირისპიროდ. პროგრამა შეიცავს აგრეთვე წინადადებებს, რომ გაფართოვდეს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ამ ბოლო წლებში გამართული მოლაპარაკების შედეგად ხელი შეეშალა ფინეთ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ გაგრძელებას სხვადასხვა დარგში. **ამრიგად**, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიების მჭიდრო თანამშრომლობას, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა და ურთიერთგაგება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **არა** მარტო ჩვენი პარტიისათვის, არამედ მთელი ფინელი ხალხისათვის.

ფინელი ხალხი, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხები, მკაცრად გმობს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიას ვიეტნამში, განაცხადა ამხ. პესმ. ჩვენი პარტია მტკიცე პროტესტს აცხადებს ამ თავხედური აგრესიის წინააღმდეგ და სრულ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას. გვამფოთებს აგრეთვე მოვლენები, რომლებიც ამ ბოლო დროს ინდონეზიაში, და აფრიკაში მოხდა, თქვა ორატორმა. სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას დასავლეთ გერმანიის რევანშიზმისა და მილიტარიზმის აქტივიზაცია.

კარგად გვეამის, რომ თანამედროვე ვითარებაში უაღრესად საჭიროა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა და მთელი პროგრესული ძალების ერთობა, მათი თანამშრომლობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი პარტია მზად არის თავის მხრივ ყოველი ღონისძიებით ეცადოს მიაღწიოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობას. ჩვენ მხარს ვუჭერთ კომუნისტური და მუშათა პარტიების გენერალურ ხაზს, რომელიც აისახა მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტების პრინციპულ დებულებებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას მხურვალე ძმური სალამი გადასცა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა **ალვარო კუნიალმა**. თქვენი სახით, მიმართა მან დელეგატებს, ჩვენ მივესალმებით საბჭოთა ხალხს, რომელსაც აერთიანებს საერთო მიზანი — კომუნიზმის მშენებლობა. ამ ყრილობის ტრიბუნიდან ჩვენ მივესალმებთ საბჭოთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილებას, რომელმაც შესაძლებლობა მოგცათ შეგიქმნათ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და პროგრესული საზოგადოება.

ამ ყრილობის ტრიბუნიდან ჩვენ მივესალმებით პარტიას, რომელმაც თავისი ისტორიული საქმეებით, თავისი გამოცდილებითა და თავისი მაგალითით გზა გაუთალა ყველა. ქვეყნის კომუნისტებისა და მუშათა კლასის ბრძოლას და დღეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან 48 წლის შემდეგ, თქვენი პარტია კვლავ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდში მიდის.

ჩვენ მივესალმებით ლენინის პარტიასა და საბჭოთა ხალხისათვის დამახასიათებელ ინტერნაციონალიზმის უცვლელ სულისკვეთებას, უდიდეს და გულუხვ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული და კოლონიური დამონების წინააღმდეგ, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს. მივესალმებით რა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩვენ მივესალმებით მსოფლიო რევოლუციის მთავარ და უძველეს დასაყრდენს.

XXIII ყრილობის ტრიბუნიდან მივესალმებით საბჭოთა კავშირის საქმიანობას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის დაცვისათვის, მივესალმებით სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელიც ხელსაყრელ პირობებს უქმნის დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მშრომელებისა და ერად ყველა ხალხის ბრძოლის გაშლას.

პორტუგალიის კომუნისტური პარტია, განაგრძო ორატორმა, ზუსტად ორმოცდახუთი წლის წინათ შეიქმნა. ეს ისტორიული მოვლენა პორტუგალიის მუშათა კლასის ცხოვრებასა და ბრძოლაში მტკიცედ არის დაკავშირებული ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასთან, ლენინის პარტიის წარმატებებთან. ჩვენ ვამაყობთ ამით, რომ დღეს პორტუგალიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა უფრო, ვიდრე ოდესმე ჩვენი პარტიის 45 წლის ისტორიაში მტკიცე და ძმური.

უკვე 40 წელია პორტუგალიელი ხალხი ფაშისტური დიქტატურის უღელქვეშაა. 40 წელია ჩვენი პარტია იძულებულია უმკაცრესი არალეგალურობის პირობებში იმოქმედოს. ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის წინაშე ამყამად დგას პასუხსაგები ამოცანა — ბოლო მოვუღოთ ფაშისტურ დიქტატურას, მოვიგოთ დემოკრატიული თავისუფლებანი, გზა გავიკაფოთ დემოკრატიის, პროგრესისა და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ. ჩვენ ვიბრძვით დემოკრატიული და ეროვნული რევოლუციისათვის, რაც შეესაბამება მშრომელი კლასებისა და მთელი პორტუგალიელი ერის ინტერესებს. ჩვენ ვიბრძვით ყველა დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალთა მოქმედების ერთობისა და შეკავშირებისათვის, ხალხთა მასების ბრძოლის გაშლისა და გაძლიერებისათვის. ამ ამოცანების განხორციელება საჭიროა იმისათვის, რომ პირობები შეეუქმნათ ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას. და ჩვენ ამას მივაღწევთ. პორტუგალია ფაშიზმისაგან განთავისუფლდება. პორტუგალიელი ხალხი თავისუფლებას მოიპოვებს!

დიდი მოვლენები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხდება, გავლენას ახდენს მთელი მსოფლიოს ცხოვრებაზე, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. ამიტომ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა აგრეთვე იმიტომაც აქვს, რომ მას ესწრება მომქმე პარტიების ბევრი დელეგაცია, რომლებიც ამით ნათლად ცხადყოფენ მარქსიზმ-ლენინელთა ძმობას ლენინის დიდ პარტიასთან, კომუნისტთა საერთაშორისო ოჯახის ურღვევ მეგობრობას.

აღვუთქვამთ ვიეტნამელ ამხანაგებს ჩვენს სრულ მხარდაჭერასა და სოლიდარობას. დარწმუნებული ვართ, რომ მათი მსხვერპლი ამაო არ იყო და ისინი გაიმარჯვებენ.

ყველა პარტიის დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დამყარებული ერთობა, მათი მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა პარტიასთან, რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიო რევოლუციის მთავარ ბურჯს — საბჭოთა კავშირს, თქვა დასასრულ ალვარო კუნიალმა, დღეს უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე, ჩვენი დიადი საქმის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

დარბაზი ტაშს უკრავს ამხ. კუნიალს — მშვიდ მებრძოლს იმპერიალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

(დასასრული იქნება)

მოძმე უნგრელ ხალხს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა მხურვალედ მიულოცეს მომქმე უნგრელ ხალხს ეროვნული დღესასწაული — ფაშისტი დამპყრობლებისაგან უნგრეთის განთავისუფლების 21 წლისთავი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებისათვის — ამხანაგების იანოშ კადარის, იშტვან დობინმ, დიულა კალაისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ განვლილ პერიოდში სახალხო უნგრეთის მშრომელებმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით განაპირობეს ეს ისტორიული გარდაქმნები ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, საფუძველი ჩაუყარეს სოციალიზმს. საბჭოთა ადამიანები იზიარებენ უნგრელი მშრომელი ხალხის განხიერ სიამაყეს სოციალისტური სამშობლოსათვის, რომელიც გახდა მოწინავე ინდუსტრიის ქვეყანა და წარმატებით ავითარებს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ღირსეული წვლილი შეეტანა სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხელმძღვანელები მომქმე უნგრელ ხალხს უსურვებენ შემდგომ წარმატებებს სოციალიზმის აშენების დამთავრების საქმეში, ბედნიერებასა და აყვავებას.

უნგრული ხალხის ეროვნული დღესასწაულის — უნგრეთის განთავისუფლების 21-ე წლისთავის გამო, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს იანოშ პეტერს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. (საკდესი).

გულითადი მადლობა

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა იანოშ კადარმა, იშტვან დობიმ, დიულა კალაიმ თავიანთ წერილში ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინის მიმართ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისა და მთელი უნგრელი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გამოთქვეს მოლოცვისათვის ეროვნული დღესასწაულის — უნგრეთის განთავისუფლების 21-ე წლისთავის გამო. ღრმა პატივისცემის გრძნობით მოგვსალმებით თქვენ და მომქმე საბჭოთა ხალხს, რომელიც კომუნიზმს აშენებს, აღნიშნულია წერილში. წერილში შემდეგ ნათქვამია: ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მთელი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მუშაობას. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მომქმე საბჭოთა ხალხი ახალ დიდ წარმატებებს მოიპოვებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. თქვენი მიღწევები ხელს უწყობს სოციალიზმისა და პროგრესის ძალების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას, ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა იანოშ პეტერმა ეროვნული დღესასწაულის — უნგრეთის განთავისუფლების 21-ე წლისთავის გამო მისალმება გამოუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს. (საკდესი)

მისასალმებელი დეპეშა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰაროლდ ვილსონს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ულოცავს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ხელახლა დანიშვნას. დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ ორივე თავადრობის საერთო მეცადინეობით დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება ინგლისელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

ქალბატონი ინდირა განდი მოსკოვში

2 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა სამშობლოში მიმავალი ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ქალბატონი ინდირა განდი.

2 და 3 აპრილს მოსკოვში ყოფნის დროს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ქალბატონი ინდირა განდი ესაუბრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

საუბრების დროს, რომლებიც გულითად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილეს ურთიერთ საინტერესო საკითხები.

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ქალბატონმა ინდირა განდიმ 3 აპრილს სამშობლოში გაფრენის წინ ვნუკოვოს აეროპორტში პრეს-კონფერენცია გაართა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. უპასუხა რა მათ კითხვებზე, კერძოდ, იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება მიიღო მოსკოვში გამართული მოლაპარაკებისაგან, ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ მისი საუბრები საბჭოთა დედაქალაქში ძალიან კარგ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა და ეხებოდა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის ფართო დიაპაზონს. ჩვენ, განაგრძო სტუმარმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან ერთად განვიხილეთ საკითხები, რომლებიც საინტერესოა ჩვენი ქვეყნისათვის; მე მინდოდა მეცოდნოდა ბ-ნ კოსიგინის აზრი ამ საკითხებზე.

დასასრულ მან აღნიშნა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება და რომ იგი, როგორც პრემიერ-მინისტრი, ხელს შეუწყობს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

მოსკოვიდან დელიში 3 აპრილს გაემგზავრა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ქალბატონი ინდირა განდი.

ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მეგობარი ქვეყნის მთავრობის მეთაური გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ა. ა. გრომიკომ, ვ. თ. ლოგინოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

1 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის თათბირის მონაწილე ქვეყნებს დაუგზავნა ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ლაოსის ეროვნული ერთიანობის მთავრობის ინფორმაციის, პროპაგანდისა და ტურიზმის მინისტრის, ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა შესრულების სახელმწიფო კომისიის წევრის ფუმი ვონგვიჩიტის 1966 წლის 10 და 20 თებერვლის დეპეშები, რომლებშიც ჟენევის თათბირის თანათავმჯდომარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ლაოსის საქმეებში.

10 თებერვლის დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ 1966 წლის 4 თებერვლიდან ამერიკის იმპერიალისტებმა და მათმა დამქაშებმა, გამოიყენეს რა ლაოსის მემარჯვენე ძალები და ტალანდის ჯარები ამერიკის „ტ-28“ ტიპის დიდძალი თვითმფრინავების დახმარებით, რომლებსაც ბაზა აქვთ ტალანდსა და სამხრეთ ვიეტნამში, დაიწყეს გაფფრენილი ირიშები ნეო ლაო ხაკ სატისა და პატრიოტული ნეიტრალისტური ძალების პოზიციების წინააღმდეგ ფუკუუტის რაიონში (სიენგ-კუანგის პროვინცია). ამერიკის იმპერიალისტების და მათი დამქაშების ეს დამპყრობლური მოქმედება იმ გეგმის ნაწ

ხალხი იწონებს, მხარს უჭერს!

საქართველოს მშრომელთა პატრიოტული სიტყვა სკკპ XXIII ყრილობას

მანქანათმშენებელთა ერთსულოვნება

სკკპ XXIII ყრილობის მუშაობას მიეძღვნა თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანასთსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მანქანათმშენებლები გამოთქვამდნენ თავიანთ აღფრთოვანებას ლენინური პარტიის ბრძნული პოლიტიკის გამო.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — განაცხადა პარტბიუროს მდივანმა ა. მელიქიძემ, — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებს მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინურ კურსს.

ქარხნის დირექტორმა ლ. აივაზოვმა მიტინგზე ილაპარაკა იმ შესანიშნავ წარმატებათა შესახებ, რომლებიც მანქანათმშენებლებმა მოიპოვეს სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმომ ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა და საამობოს ათეულ ათასობით მანეთის ზედგამოთი პროდუქცია მისცა. საწარმოში სულ უფრო ჩაღდება შეჯიბრება რიტმული მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ტრიბუნაზეა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. მაკარიძე. მან თქვა:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მკაფიოდ არის ასახული ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი, წინსვლის უდიდესი პერსპექტივები. განუზომელია პარტიის ზრუნვა ხალხის ინტერესებისათვის. ჩვენი ბრიგადის წევრებმა გადავწყვიტეთ მეორე კვარტალის გეგმა 110 პროცენტით შევასრულოთ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მოწინავე მუშები ჟ. მაზარანი და ა. ზასარიანი.

მიტინგის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს სკკპ XXIII ყრილობას.

ძლევამოსილი ნაბიჯები

ცხინვალი. (საკ. კორ.). სკკპ XXIII ყრილობა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ყურადღების ცენტრშია. ქალაქისა და სოფლის ადამიანები გულმოდგინედ ეცნობიან ყრილობის მასალებს, ღრმად სწავლობენ მათ და ახალ კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადამეტებით შესრულებისათვის.

საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის პოლიტიკას და მის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

ქვაისის მაღაროთსამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა მიტინგზე ვალდებულება აიკისრეს წლიური საწარმოო დავალება კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის შეასრულონ, ამასთან შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიაღწიონ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების 4 პროცენტით შემცირებას.

ქალაქის მუშათა კოლექტივების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით წელს ჩვენს ქვეყანას მრავალი ახალი სახის პროდუქციას მიაცემენ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოების — ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანებისა და მომინანქრებული სადენების ქარხნები.

დიდი შრომითი ალმავლობაა საკოლმეურნეო სოფელშიც. ზნაურის რაიონის სოფელ თიღვის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მიტინგზე ვალდებულება აიკისრეს მოკლე დროში დაამთავრონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. გასულ წელთან შედარებით სამუშაოდ ჰექტარზე მოსავლიანობა გაადიდონ: 5 ცენტნერით მარცვლეულისა, 20 ცენტნერით — ხილისა, 15 ცენტნერით — ყურძნისა, 40 ცენტნერით — შაქრის ჭარხლისა. საშუალოდ ერთ ხაფურაგე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღონ 100 ლიტრი რძე. ასეთივე გადიდებული ვალდებულებები აიკისრეს ამავე რაიონის სოფელ ავნევის, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის, ლარგვისისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობების მშრომელებმა.

ოლქში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ბვნა-თესვა.

გულით ულოცავენ

მოსკოვი, კრემლი, ყრილობათა სასახლე—ამ მისამართით გაუგზავნეს თბილგვირაბმშენის სამმართველოს მუშაკებმა გუშინ დეპეშა გვირაბგამყვანთა № 5 რაზმის ბრიგადის გრუზო ობოლაძეს.

დეპეშაში ნათქვამია:

— თბილგვირაბმშენის კოლექტივი მხურვალედ გილოცავთ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭებას.

ეს ცნობა ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა — ეს წოდება მოგვენიჭათ იმ დღეებში, როცა თქვენ, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დელეგატი მონაწილეობთ სკკპ ისტორიულ XXIII ყრილობის მუშაობაში, სადაც წყდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისა და მშრომელი მასების შემდგომი კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხები.

ნაყოფიერად შრომობენ და პირნათლად ახორციელებენ ნაკისრ ვალდებულებებს თბილისელი გვირაბმშენებლები. ყრილობის გახსნის დღისათვის საწარმოო გეგმა 102,5 პროცენტით შეგასრულეთ.

ვუსურვებთ ყრილობის დელეგატებს წარმატებით დაამთავრონ მუშაობა ჩვენი დიადი ქვეყნის საკეთილდღეოდ. გისურვებთ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

სოციალისტური ცხოვრება

მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის პროგრამა

სკკპ XXIII ყრილობა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

ვარშავა. სკკპ XXIII ყრილობის მასალებს ცენტრალური ადგილი უკავია პოლონეთის პრესაში. კვირის გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლას. „ტრიბუნა ლუდუ“ ათავსებს სიტყვის თითქმის სრულ ტექსტს სათაურით „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს“. გაზეთი წერს, რომ ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი გამოსვლა, რამდენადაც ამ გამოსვლაში გამოქვეყნებულია სსრ კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპები.

პრავდა. ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღება მიპყრობილი აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას.

ანგარიში ყრილობის მუშაობის შესახებ პრაღის 3 აპრილის გაზეთებმა გამოაქვეყნეს დიდი სათაურებით: „მშვიდობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მთავარი მიზანია“, „სსრ კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა წარმატებებს აღწევს“, „დელეგატები იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ პოლიტიკურ კურსს“. საბჭოთა კომუნისტების ყრილობა, ხაზს უსვამს „რუდო პრავო“, გაზდა კომუნისტების, მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლი ყველა ადამიანის სოლიდარობის და ინტერნაციონალური შეკავშირების მძლავრი მანიფესტაცია.

ბუდაპეშტი. ყველა ასათვის, ვინც იფსებს მშვიდობის საქმეს, ვინც სოციალურ სამართლიანობასა და პროგრესს ესწრაფვის, საბჭოთა კავშირი დასაყრდენი, იმედი და რწმენის წყაროა, წერს უნგრული გაზეთი „ნეფსაბადშაგი“ სკკპ XXIII ყრილობის მუშაობისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები აქვეყნებენ დაწვრილებითს ანგარიშს სკკპ XXIII ყრილობის მუშაობის შესახებ, აშუქებენ დელეგატთა გამოსვლებს. „ნოიეს დოიჩლანდი“ ათავსებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის სიტყვების სრულ ტექსტებს. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ამ სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა კავშირის ნება მთელი სიმტკიცით დაიცვას მშვიდობა, ჩაფუშოს აგრესიოსთა ზრახვები.

ბუქარესტი. გაზეთები ათავსებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლას ყრილობაზე. ყველა გაზეთს მოჰყავს მისი სიტყვები, რომ გაიზარდა სოციალისტური ქვეყნების როლი საერთაშორისო ასპარეზზე, რომ მათი პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი ომის თავიდან აცილებას. „სკინტეია“ და სხვა გაზეთები ხაზს უსვამენ ა. ა. გრომიკოს განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი და მისი მეგობრები არასოდეს არ შეურიგდებიან იმ გეგმებს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ხელში ჩაუგდოს ატომური იარაღი.

ულან-ბატორი. მონღოლეთის საზოგადოებრიობა და პრესა შეუნელებელი ყურადღებით აღევნებენ თვალს სკკპ ისტორიული XXIII ყრილობის მუშაობას. „იუზუკბა მონღამეს“ საგაზეთო. გაზეთი „ენენი“ აქვეყნებს ერცელ ანგარიშს საბჭოთა კომუნისტების ყრილობის მუშაობის მეხუთე დღის შესახებ. დაწვრილებით აშუქებს ყრილობის დელეგატებისა და საზღვარგარეთელი სტუმრების გამოსვლებს.

(საკდესი).

კვლავ პირველები

მაშინვე, როგორც კი სკკპ XXIII ყრილობაზე გამოაცხადეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების — მსოფლიოში პირველად მთვარისახლო ორბიტაზე საბჭოთა ავტომატური სადგურის „ლუნა-10“-ის გაყვანა, მსოფლიოს საგაზეთოებმა შეუყვიტეს თავიანთი მორიგი გადაცემები და დაიწყეს ამ ახალი ამბის გადაცემა. „საბჭოთა კავშირმა ეს-ეს არის გამოაცხადა, რომ „ლუნა-10“ გავიდა მთვარისახლო ორბიტაზე — იტყობინება ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო. — „ერლინში კომუნისტური პარტიის ყრილობაზე წაკითხულ წერილში ნათქვამია, რომ „ლუნა-10“ მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გახდა“.

სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი ავტომატური სადგური, რომელიც გაიაფ ოთხშაბათს გაუშვეს, მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გახდა, გამოაცხადა რეიტერის საგაზეთომ.

„რუსები კვლავ პირველები არიან კოსმოსის ათვისებაში“. — იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთო.

(საკდესი).

ლიუ შაო-ცი კალანთმში ჩავიდა

ქაბული, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს ქაბულში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი. ამ მოგზაურობაში ლიუ შაო-ცის ახლავან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჩენი და სხვა ოფიციალური პირები.

ინგლისის პარლამენტის არჩევნების შედეგები

ლონდონი, (საკდესი). აქ გამოაცხადეს ინგლისის პარლამენტის 31 მარტის საყოველთაო არჩევნების შედეგები 630-დან 629 საპარლამენტო ოლქში.

ლეიბორისტულმა პარტიამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა — თემთა პალატაში მიიღო 363 ადგილი (49 ადგილით მეტი, ვიდრე თემთა პალატის წინა შემადგენლობაში). კონსერვატიულმა პარტიამ მიიღო 252 ადგილი — 51 ადგილით ნაკლები, ვიდრე არჩევნებამდე ჰქონდა. ლიბერალური პარტიისაგან თემთა პალატაში აირჩიეს 12 პარლამენტარი (ორით მეტი, ვიდრე წინა შემადგენლობაში). ერთი ადგილი მიიღო ირლანდიის რესპუბლიკელ ლეიბორისტთა კანდიდატმა (ჩრდილოეთ ირლანდიის პარტია, რომელიც მოითხოვს ირლანდიის რესპუბლიკასთან გაერთიანებას).

მთელი მსოფლიო მიესალმება

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი). უდიდესი ინტერესი გამოიწვია ლონდონში საბჭოთა ავტომატური სადგურის მთვარისახლო ორბიტაზე გაყვანამ.

ბრიტანეთის სალაბორატორიო ფრენის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა კენეტ გეტლენდმა თქვა: „ცხადია, რომ ვუახლოვდებით მთვარის დაპყრობის ამაღლებებელ სტადიას“.

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი). ჯოდრელ ბენკის ობსერვატორიის დირექტორმა ბერნარდ ლოველმა საბჭოთა კავშირის ახალ კოსმოსურ მიღწევას დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ექსპერიმენტი უწოდა. მისი აზრით, იუწყება რეიტერის საგაზეთო. ეს მიღწევა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ცნობები მთვარის მაზიდულობის ველისა და ფორმის შესახებ.

ბერლინი. 4 აპრილი (საკდესი). მთვარის გარშემო ორბიტაზე პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაყვანა უდიდესი წარმატებაა კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტ კ. საკინთან საუბარში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ასტრონავტთა საზოგადოების წევრმა კარლ-ჰაინც ნაიმანმა. მხოლოდ ორი თვე გავიდა იმ დღიდან, რაც მთვარეზე დაეშვა პირველი საბჭოთა ავტომატური სადგური, და საბჭოთა კავშირმა გადადგა ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი კოსმოსური კვლევის გზაზე, თქვა კ. ჰ. ნაიმანმა. მეცნიერის აზრით, ახალ ექსპერიმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთვარისახლო სივრცის და ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირის შემდგომი შესწავლისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანის გაფრენა მთვარეზე.

ტოკიო, 4 აპრილი. (საკდესი). იაპონელი მეცნიერები, განმარტავენ რა საბჭოთა კავშირის ახალ შესანიშნავ წარმატებას, აღნიშნავენ ამოცანის არაჩვეულებრივ სირთულეს, რომელიც დასახული იყო საბჭოთა მეცნიერთა და ხომალდის შემქმნელთა წინაშე.

ტოკიოს ასტრონომიული ობსერვატორიის დოცენტმა ტაკეუტიმ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასტრონომიისათვის მთვარის ორბიტაზე ავტომატური სადგურის „ლუნა-10“-ის გაყვანას. ეს, განაცხადა ტაკეუტიმ, უდავოდ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია კაცობრიობის მიერ მთვარის ხაიდუმლოებათა გამოცნობის გზაზე. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა სანუკიმ დიდად შეეფასა საბჭოთა რაკეტმშენებლობის წარმატებანი და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა კვლავ უკან ჩამოიტოვა ამერიკის შეერთებული შტატები კოსმოსის ათვისების საქმეში.

პარიზი, 4 აპრილი. (საკდესის კორ.). საბჭოთა ავტომატური სადგურის „ლუნა-10“-ის მთვარის გარშემო ორბიტაზე წარმატებით გაყვანამ საფრანგეთის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო.

„ლუნა-10“ გარს უვლის ჩვენს ბუნებრივ თანამგზავრს. ეს საბჭოთა სპეციალისტების დიდი წარმატებაა“, — ბაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ფიგარო“ კოსმოსიდან მიღებული ცნობის საათაურში. „ისტორიაში პირველად დედამიწიდან გაშვებული თანამგზავრი გავიდა მთვარის გარშემო ორბიტაზე, — აღნიშნავს თავის მხრივ გაზეთი „ლუმანიტე“. — ეს „საბჭოთა კავშირის ახალი თვალსაჩინო წარმატებაა“.

დაპატიმრება განაში

ლონდონი, (საკდესი). განის მთავრობის განკარგულებით კვლავ დააპატიმრეს განის სამი ყოფილი მინისტრი — საგარეო საქმეთა მინისტრი ალექს კვეისონსეკი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ჯოჯო ბოტსიო და აფრიკის საქმეთა სამდივნოს მეთიური მაიკლ დეი-ანანგა.

ტელევიზია

5 აპრილი

11.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 12.00 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის — „მზე შინა და მზე გარეთა“, 18.20 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.00 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — სპორტული გადაცემა, შესვენების დროს — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.25 — გადაცემათა პროგრამა 6 აპრილისათვის, 22.30 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დღით — 12 საათიდან, საღამოს — 17.45 საათიდან.

6 აპრილი

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.00 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა — „მტკვარი გეზს იცვლის“, 19.45 — განცხადებები, 19.50 — „ქართველი კომპოზიტორები — ოქტომბრის დღესასწაულს“, 20.10 — კინონარკვევი, 20.25 — გადაცემა — „ფეხბურთი — 1966....“, 20.45 — მხატვრული ფილმი „ერთგულება“, 22.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.30 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დღით — 12 საათიდან, საღამოს — 17.45 საათიდან.

ჩაბ ვიცხოთ, ჩაბ ეოვისეიროთ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გორის № 39 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1966-67 სასწავლო წლისათვის შემდეგი პროფესიების მიხედვით:

1. მრთველები, 2. მჭედლები.

პროფტექნიკურ სასწავლებელში მიიღებიან სამუალო, 9-8 და 7 კლასის განათლების მქონე გოგონები, რომელთა ასაკი არ აღემატება 25 წელს.

საშუალო ცოდნის მქონე გოგონები, რომლებიც ფრანდზე დაამთავრებენ პროფტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე ჩაირიცხებიან კონკურსის გარეშე.

სწავლის პერიოდია 1,5 წელი, მოსწავლეებს სწავლის პერიოდი ითვლებათ საწარმოო სტაჟად, მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, კვებით, ტანსაცმლით და მიეცემათ გამომუშავების 33 პროცენტი ფულად. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ სპეციალობასთან ერთად აქვე მუშაობა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში მიიღონ საშუალო განათლება.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი სახეობების დართვით: სიმწიფის ატესტატი (დედანი) ან მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი (4×5-ზე), პასპორტი ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საბუთების მიღება წარმოებს 1966 წლის 15 მარტიდან, სწავლა დაიწყება 1966 წლის 15 მაისიდან.

სასწავლებლის მისამართი — ქ. გორი, ბესიკის ქ. № 2.

ტელეფონები: 21-53, 28-55.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3).

20 IV 66 წ. 1 საათსა და 30 წუთზე **რუსულან ციკურის ასული გვარამია** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე „ალი ბუსთანი“, X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით (არაბული ტექსტი, ქართული თარგმანითა და გამოკვლევით).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

„ბერძენსწინა“ უმაღლეს ლიგაში

ბაკოზი გრძელდება „ა“ კლასის მეორე ლიგის გუნდების საკავშირო ტურნირი ქალთბილისში. გოგთა შორის. თბილისის „ბურევესტნიკმა“ ბოლო მატჩში დაამარცხა ალმა-ატის „ლოკომოტივი“ — 60:51 და მიუხედავად დარჩენილი ტურის უფლება მოიპოვა მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშოს.

ამრიგად საქართველო საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში კვლავ ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი.

სპორტი

სილაპაჭის ზეიმი

მსოფლიოს უძლიერესი ფიგურული მოციგურაგეები გუშინ პირველად წარსდგნენ თბილისელი მაყურებლების წინაშე. სახელგანთქმულ სპორტსმენთა. მოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების საჩვენებელმა გამოსვლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. სპორტის სასახლეში ტევა არ იყო.

ჩვენ მათ ვიცნობდით მართალია, შორიდან, მაგრამ კარგად. ჩვენ ხომ გვინახავს მათი გამოსვლები ტელევიზიით ევროპის ჩემპიონატებზე მოსკოვსა და ბრატისლავაში, მსოფლიოს პირველობაზე, სულ ახლახან, თუმერვლის ბოლოს, შვეიცარიის ქალაქ დავოსში.

უძლიერესთა და ულამაზესთა თანაგარსკვლავედი — სხვანაირად არ შეიძლება უწოდოთ მათ, იმდენად მომხიბლელი და შესანიშნავი იყო თვითეულის ოსტატობა. მაყურებელი მხურვალედ აჯილდოვდა ყოველ რთულ ხტომას, სრულყოფილ სრიალს... ამერიკელებმა გამოსვლას ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

პროგრამა კი მართლაც საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. 15 წლის ელენე ზჩიგლოვამ პირველმა აღადგინა მაყურებელი. ჩეხოსლოვაკიელთა დუეტმა ი. ბაბიაკამ და ი. ბოლანმა არტისტულობით დაიპყრეს დარბაზი, ლამაზმა სანა მამკოვამ (ჩეხოსლოვაკია) — მაღალი ხტომებით, 15 წლის ონდრე ნეკალამ (ჩეხოსლოვაკია) ახალგაზრდული ტემპერამენტით, ტ. ტარასოვამ და გ. პროსკურინმა არტისტულობით, შეერთებული შტატების ჩემპიონმა ჰარი ვისკონტიმ უდიდესი სიჩქარით შესრულებული რთული ელემენტებით, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა გაბრიელ ჰაიფერტმა განუმეორებელი სრიალის მანერით...

რასაკვირველია, საღამოს კულმინაციას მსოფლიოს ჩემპიონების გამოსვლა წარმოადგენდა. ზუსტი, სინქრონული იყვნენ ინგლისელები დ. ტაუერი და ბ. ფორდი (სპორტული ცეკვა), რთული და მაღალ-ტექნიკური იყო ავსტრიელ ემერიხ დანცერის პროგრამა. საოცრად არტისტული და ორიგინალური იყო 17 წლის ამერიკელი ჰეგი ფლემინგი.



სურათზე: უნივერსიადის ჩემპიონები სპორტულ სრიალში ტ. ტარასოვა და ვ. პროსკურინი (სსრკ) თბილისის სპორტის სასახლეში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოსკოვი. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა საფოსტო გადახდის მბატკვრული ბლოკ-ნიშანი, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXIII ყრილობას (ზემო სურათი); სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი, მოწინავე მეჩაიე, მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ა. ნაცვალაძე (ქვემო სურათზე) ათვალიერებს სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ სტენდს. ამ სურათს შეიძლება „შეხვედრა ყრილობაზე“ ეწოდოს... კლავდიას აქ თავისი პორტრეტი დაუხვდა გამოფენილი.

ფოტო ბ. დადვაძისა და ი. დავითაშვილისა

(საკდესის ფოტოკორესპ.).

ორი ლიდერი

კვირას დამთავრდა საქართველოს სსრ ჩადრაკო ჩემპიონატის 13 ტურის შედეგად გადადებული პარტიები. ა. ბუსლაევმა ნოუგა ბ. გურგენიძეს, ნ. ალექსანდრიამ—ვ. კერნოფიციკის, ი. ჩიქოვანმა — თ. გიორგაძეს, ბ. გურგენიძემ — ი. ჩიქოვანს, ა. ინაზოვაძემ — გ. ბოკანაშვილს. ყველაზე შეთანხმდნენ ა. ჩხაიძე-ე. ფალავა და ვ. კერნოფიციკი-ა. ჩხაიძე.

გუშინდელ მეთოთხმეტე ტურში ლიდერებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები. რ. ჯინჯიხაშვილმა ინტერესოდ გაითამაშა ინგლისური დასწყისი და თანდათანობით თავლსაჩინო უპირატესობა მიიღო მ. ჩაგუნავასთან, შემდეგში რ. ჯინჯიხაშვილმა კიდევ უფრო დაასუსტა მეტოქის პოზიცია და მორიგებამდე მიიყვანა. ა. ბუსლაევმა მოიგო ა. ბოკუჩავას. ბ. გურგენიძემ შავებით თავიდანვე შეავიწროვა თ. გიორგაძე და მოიგო. ნ. ალექსანდრია დამთანხმდა ლომბოიასთან, ყაიბრე შეთანხმდნენ ვ. ფალავა-ზ. ჩხაიძე და ვ. თოხაძე-ვ. ფალავა. თამაშდა ლ. ბერიძე. ლანარჩენი პარტიები გადადებულ დღეისათვის ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს: ოსტატებს რ. ჯინჯიხაშვილსა და ა. ბუსლაევს თორმეტ-თორმეტი ქულა აქვთ, ბ. გურგენიძეს — 10 ქულა, ბ. გიორგაძეს — 9,5 ქულა.

ნაკრების ფრე

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრემ გუნდმა, რომელიც ამბანაგურ თამაშებს ატარებს იუგოსლავიაში, მორიგ მატჩი გამართა. ჩვენი ფეხბურთელებმა წინააღმდეგ თამაშობდა იუგოსლავიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ნოვი სადის „ვოეოვოდინა“.

ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2. ორივე ბურთი მასპინძელთა კარში ვ. პონდელნიკმა გაიტანა.

სპორტული ქრონიკა

△ **კიუნიოვზი** გაიმართა პირველი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. საპასუხო მატჩი გაიმართება ბუქარესტში.

△ **სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციამ საკონტროლო მატჩებში დაუვიბული უდანაკარგოდ ბულგარეთის ნაკრებთან ერთად ჩეხეთ-ბულგარეთ თამაშში დისკვალიფიკაცია მისცა ვ. ლობანოვსკის („ჩერნომორეცი“), ხ. როგოკოვს („კაირატი“) და ვ. ბარქაიას („ფინამო“ თბილისი), ერთ თამაშში ვ. ლიციანს („კაირატი“) და ა. პოპიჩკოს („ჩერნომორეცი“).

თბილისის გარნიზონის ეფრლსის ბრძანებით

გარნიზონის ჯარები 1966 წლის 6 აპრილიდან ტანსაცმელის საზაფხულო ფორმაზე გადადიან.

რედაქტორის მოადგილე

ბ. თათარიშვილი.

ქომეუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 9-08-09, პ/მგ მდივნის — 9-79-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პრობაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-91, ინფორმაციის — 8-16-90. უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 04910

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.